

დაცული ტერიტორიების ქსელის კარტოგრაფირების ზოგიერთი ასპექტები

ნელი ჯამასპაშვილი, ნ.ნ. ბერუჩაშვილი, ლ.ნ. ბერუჩაშვილი

ელ-ფოსტა: neli.jamaspashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #1, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველოში დაცული ტერიტორიების ქსელის ფორმირებაში დიდი ღვაწლი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს ნ. კეცხოველი, ვ.გულისაშვილი და სხვ. სწორედ მათი ძალისხმევით გასული საუკუნეში საქართველოში შეიქმნა ნაკრძალები, რომელიც დღესაც წარმოადგენენ დაცული ტერიტორიების “ხერხემალს”.

90-იანი წლების დასაწყისიდან, დაცული ტერიტორიების ახალი ქსელის ფორმირებაში ჩაერთო ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

დაცული ტერიტორია მრავალმხრივი ცნებაა და მასში ერთიანდება არა მხოლოდ გარკვეული ცოცხალი ორგანიზმის დაცვა, არამედ ბუნების როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი ძეგლების, ღირსშესანიშნაობების, მაღალი კონსერვაციის, ხელუხლებელი და პირვანდელი ეკოსისტემების შენარჩუნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლანდშაფტების დაცვას.

საქართველოში დაცული ტერიტორიების ქსელი ფორმირებულია საერთაშორისო სტანდარტებით, რომელიც გულისხმობს მის კატეგორიზაციას.

უკვე რამოდენიმე წელიწადია ხორციელდება დაცული ტერიტორიების ახალი სისტემის, არა ერთი სახეობის ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პროექტები. მათი პრაქტიკული რეალიზაცია პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიურ პრობლემებთან, რაც არა ერთი სამეცნიერო დისციპლინის კვლევის მიზანს და ობიექტს წარმოადგენს.

გარემოს მდგომარეობებზე დაკვირვებებისა და კონტროლის პრობლემით დაკავებულები არიან სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები (ეკოლოგები, ბოტანიკოსები, მეტეოროლოგები, ჰიდროლოგები, ქიმიკოსები, გეოფიზიკოსები და ა.შ.), მაგრამ გარემოს მდგომარეობებზე კომპლექსურ კვლევებს, რომლის დროსაც იგი განიხილება როგორც გეოსისტემების კანონზომიერი შერწყმა (ტერიტორიული კომპლექსების, რომელთა წარმოქმნა და ფუნქციონირება ხდება ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გავლენით), აწარმოებენ მხოლოდ გეოგრაფები.

გეოსისტემების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით: ჰიდრომეტეოსამსახურის მონაცემთა საფუძველზე, კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარული დაკვირვებებით, ექსპედიციური კვლევებით, ვერტმფრენებიდან და თვითმფრინავებიდან გაზომვათა და დაკვირვებათა ანალიზით, კოსმოსური ტელედეტექციური მონაცემებით და სხვ.

კარტოგრაფიული და გეოინფორმაციული სისტემების საფუძველს წარმოადგენს სივრცითი ინფორმაცია. დღეისათვის მსოფლიოში საკმაოდ ბევრი გის-ია შექმნილი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დანიშნულებით, სტრუქტურით და მთელი რიგი თავისებურებით. ყველა ეს გეოგრაფიული სისტემა შეიძლება დავეყოთ ორ დიდ ჯგუფად: სტანდარტულ და სპეციალურ გის-ებად.

სტანდარტული გის-ების მეშვეობით შესაძლებელია მათზე მონაცემთა ბაზებისა და კარტოგრაფიული საფუძვლის მიზმა, აგრეთვე სხვადასხვა თემატური რუკის შედგენა და ამოებქდვა. გის-ის მეშვეობით შეიძლება მივიღოთ სტატისტიკური და ნებისმიერი კარტოგრაფიული ინფორმაცია, ასეთი გის-ებია: Mapinfo, ArcInfo, ArcGis, AUTOCAD და სხვა.

სპეციალური გის-ები შემუშავებულია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად, ამიტომ მათ ხშირად დარგობრივი ხასიათი აქვს. სპეციალური გის-ების საფუძველს ხშირად სტანდარტული გის-ები წარმოადგენს, ზოგჯერ კი ადგენენ სპეციალურ პროგრამებს, რომელთაც კონკრეტული დანიშნულება აქვთ. სპეციალურ გის-ებს მიეკუთვნება: ГИС Кавказа, ГИС Грузии, ГИС Черное море, ГИС Ландшафтов Кавказа, ГИС Ландшафтов мира - შედგენის კონცეფცია და მეთოდები განხილულია ნ. ლ. ბერუჩაშვილის მიერ (1990, 1994, 1995, 1996 და ა.შ.).

საველე კვლევის მეთოდები შედარებით კარგადაა დამუშავებული. 1983 წ. გამოვიდა ნ.ბერუჩაშვილის “ლანდშაფტურ გეოფიზიკური კვლევის და ბტკ-ბის მდგომარეობების კარტოგრაფირების მეთოდიკა”. 1997 წ., კი, ნ.ბერუჩაშვილის და ვ. ჟუჩკოვას “საველე ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევის მეთოდები”. მათში აღწერილია, როგორც ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების გამოყოფის და აღწერის მეთოდები, ასევე ლანდშაფტების გეოფიზიკის, გეოქიმიის და ეტოლოგიის მეთოდები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საველე მასალების კამერალური დამუშავების მეთოდებს.

ნაშრომში მნიშვნელოვანია ის, რომ გის-მეთოდების საშუალებით შეიძლება შევადგინოთ ე.წ. წარმოებული რუკები - ზოგადგეოგრაფიული, ლანდშაფტური, სოციალურ-ეკონომიკური, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური სინთეზური რუკები და სხ.